



## ბავშვთა დაცვის პოლიტიკა ფონდი ოცალენიე

### 1. ბავშვთა დაცვის პოლიტიკის განცხადება

ფონდი ოცალენიე მიაჩნია, რომ ყველა ბავშვს, ვისთანაც ჩვენ გვაქვს შეხება, განურჩევლად გარემოებისა, მათ შორის ასაკის, გენდერული იდენტობის, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის, შესაძლებლობების, სექსუალური ორიენტაციისა თუ ეთნიკური წარმომავლობისა, ვალდებულია დაიცვას ყველა სახის ზიანის, ძალადობის, უგულვებლყოფისა და ექსპლუატაციისაგან. შესაბამისად, ფონდი არ დაუშვებს ბავშვების შეურაცხყოფას და ექსპლუატაციას თანამშრომლებისა და მისი საქმიანობის განხორციელებაში ჩართული სხვა პირების მიერ, განსაკუთრებით იმ პირების მიერ, რომლებიც თანამშრომლობენ ფონდთან სამოქალაქო სამართლის ხელშეკრულებების ან ნებაყოფლობითი მომსახურების განწესის შესახებ შეთანხმებების საფუძველზე.

ფონდი ოცალენიე მონოდებულია დაიცვას ბავშვები თავისი საქმიანობის პროცესში სამი ბერკეტის მეშვეობით: პრევენცია, განცხადება/შეტყობინება და რეაგირება. სამსახურეობრივი მოვალეობების დაწყებამდე ან ფონდის საქმიანობასთან დაკავშირებული რაიმე საქმიანობის შესრულებამდე, ფონდის ყველა თანამშრომელი ვალდებულია გაეცნოს წინამდებარე პოლიტიკას და წარადგინოს დეკლარაცია ამ პოლიტიკის გაცნობისა და მისი შესრულების ვალდებულების შესახებ. ეს ასევე ეხება იმ პირებს, რომლებიც თანამშრომლობენ ფონდთან, კერძოდ, პირებს, რომლებიც თანამშრომლობენ სამოქალაქო სამართლის ხელშეკრულებებით, მათ შორის ქვეკონტრაქტორების ჩათვლით, რათა განახორციელონ ნებისმიერი საქმიანობა და მოხალისეობრივი სამუშაო მისი სახელით ან მის სასარგებლოდ. თუ თანამშრომელი ან პირი, რომელიც თანამშრომლობს ფონდთან, არღვევს ამ პოლიტიკის მითითებებს, ფონდი სათანადო რეაგირებას მოახდენს ფაქტზე, მათ შორის: უფლება აქვს დასაქმებულთა მიმართ გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობა, დააკისროს მათ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა ან დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ხელშეკრულება.

პოლიტიკის დაწყებისთანავე, ფონდის პროგრამებში მონაწილე ყველა ბავშვი და მათი კანონიერი მშობლები/მეურვეები გაეცნობიან ინფორმაციას ბავშვთა დაცვის პოლიტიკის შესახებ, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ვებ-გვერდის მეშვეობით: [www.centrum.ocalenie.org.pl](http://www.centrum.ocalenie.org.pl), გარდა ამისა პოლიტიკა საჯაროდ გამოიკვრება ფონდის ყველა ოფისში კლიენტებისთვის ხელმისაწვდომ ადგილებში – სრული და შემოკლებული ვერსიით, რომელიც განკუთვნილია ბავშვებისთვის (შემოკლებული ვერსია შეიცავს ინფორმაციას ბავშვებისთვის), პოლიტიკის შინაარსი და მისი შემოკლებული ვერსია გაიგზავნება მაილის საშუალებით, ფონდის პროგრამის განცხადებაში მითითებულ ელ-ფოსტაზე ან კლიენტის მიერ ფონდისთვის მიწოდებულ სხვა დოკუმენტებზე/ინფორმაციაზე (და იმ შემთხვევაში, თუ კლიენტები ან მათი კანონიერი მეურვეები/მერუვეები არ აქვთ ელექტრონული ფოსტა, ამ შემთხვევაში პოლიტიკაზე პასუხისმგებელი პირი, შეუთანხმდება შეხვედრაზე კლიენტს ან კანონიერ მეურვეს, სადაც პასუხმგებელი პირი გადასცემს მათ ბავშვთა დაცვის პოლიტიკას, რომლის მიღებასაც კლიენტი/კანონიერი მეურვე დაადასტურებს დოკუმენტზე ხელმოწერით), ბავშვები პოლიტიკას უნდა გაეცნონ პროგრამაში მონაწილეობის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში.

## **2. პოლიტიკაში მითითებული ძირითადი ცნებები**

ბავშვთა დაცვის პოლიტიკაში გამოყენებული ტერმინები ნიშნავს:

**ბავშვის პერსონალური მონაცემები** - ნებისმიერი ინფორმაცია იდენტიფიცირებული ან იდენტიფიცირებადი ბავშვის (სუბიექტი რომელსაც ეხება ინფორმაცია) შესახებ; იდენტიფიცირებადი ბავშვი არის არასრულწლოვანი, რომლის იდენტიფიცირება შესაძლებელია, პირდაპირ ან ირიბად, იდენტიფიკატორის მითითებით, კერძოდ, როგორცაა: სახელი, საიდენტიფიკაციო ნომერი, ადგილ-მდებარეობის მონაცემები, ონლაინ იდენტიფიკატორი ერთი ან მეტი ფაქტორები: ფიზიკური, ფიზიოლოგიური, გენეტიკური, გონებრივი, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური იდენტობა.

**ბავშვი**-ნებისმიერი არასრულწლოვანი ადამიანი.

**ფონდი**-არასამთავრობო ორგანიზაცია ოცალენიე

**კლიენტი** - ნებისმიერი პირი, ასაკის მიუხედავად, რომელიც მონაწილეობს ფონდ ოცალენიეს მიერ განხორციელებულ ნებისმიერ პროგრამაში ან უშუალოდ იღებს ფონდ ოცალენიეს დახმარებას, ანუ მინიმუმ პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანხმობის საფუძველზე, რაც არის საფუძველი ამ პირის დაშვება პროგრამებში ან ფონდ ოცალენიეს დახმარების პროგრამებში.

**ბავშვთა დაცვის პოლიტიკაზე პასუხისმგებელი პირი/პოლიტიკაზე პასუხისმგებელი პირი** - ფონდის თანამშრომელი, რომელიც დანიშნულია ფონდის მმართველი საბჭოს მიერ, რათა მონიტორინგი გაუწიოს და საჭიროების შემთხვევაში (ხელმძღვანელობის წინასწარი თანხმობის შემდეგ), განაახლოს მასში მოცემული პროცედურები და დებულებები, ამყარებს პირველ კონტაქტს იმ ადამიანებთან, რომლებიც ექვობენ ბავშვზე ძალადობაზე, ინიცირებას უწევს მენეჯმენტთან ინდივიდუალური შემთხვევების შესახებ შეხვედრებს, რომლებმაც გაიარეს ფონდის მიერ განხორციელებული ტრენინგი ბავშვთა დაცვის პოლიტიკის შესახებ.

**ბავშვის კანონიერი მეურვე** – ბავშვის მშობელი ან კანონიერი მეურვე; ამ პოლიტიკის მიხედვით, კანონიერი მეურვე არის ასევე მინდობით აღმზრდელი პირი.

**თანამშრომელი**-ნებისმიერი ადამიანი რომელიც დასაქმებულია ფონდში-არასამთავრობო ორგანიზაცია ოცალენიეში ხელშეკრულების საფუძველზე.

**ფონდთან მომუშავე პირი** - ნებისმიერი პირი, რომელიც ასრულებს დავალებებს ფონდ ოცალენიეში შრომითი ხელშეკრულების გარდა სხვა დოკუმენტის საფუძველზე, ე.ი. სამოქალაქო სამართლის ხელშეკრულებით ან სხვა თანამშრომლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ამოცანების შესრულებას, კერძოდ, ქვეკონტრაქტორებისა და მოხალისეების ჩათვლით; სტაჟიორები, კონსულტანტები, ტრენერები, ადამიანები, რომლებიც სტუმრობენ ფონდს გაცვლითი ან თანამშრომლობის პროგრამების ფარგლებში.

**მოხალისე პირი** - ნებისმიერი პირი, რომელიც ასრულებს დავალებებს ფონდ ოცალენიეში ნებაყოფლობითი მომსახურების განევის შესახებ ფონდთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

**პოლიტიკა/ბავშვთა დაცვის პოლიტიკა** - ფონდ ოცალენიეს ბავშვთა დაცვის ეს პოლიტიკა.

**ფონდის მმართველი საბჭო** - ეროვნულ სასამართლოს რეესტრში ჩამოთვლილი პირების გუნდი, რომლებიც უფლებამოსილი არიან მიიღოს გადაწყვეტილება ფონდის საქმიანობისა და წარმომადგენლობის შესახებ.

**ბავშვის კანონიერი მეურვის თანხმობა** - ბავშვის მინიმუმ ერთი კანონიერი მეურვის თანხმობა. იმ შემთხვევაში თუ ბავშვის კანონიერ მეურვეებს შორის ბავშვთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებზე შეთანხმება ვერ შედგა, ზემოაღნიშნული პირები ინფორმირებული უნდა იყვნენ, საოჯახო სასამართლოს მიერ საქმის გადაწყვეტის შესახებ მუხ. 1964 წლის 25 თებერვლის კანონის 97 § 2, ოჯახისა და მეურვეობის კოდექსი მიხედვით (კონსოლიდირებული ტექსტი: 2023 წლის კანონების ჟურნალი, პუნქტი 2809).

### **3. ბავშვთა დაცვის პოლიტიკის მიზანი**

პოლიტიკა მიზნად ისახავს ფონდის საქმიანობაში მონაწილე ბავშვების დაცვას ნებისმიერი ზიანისგან, რომელიც შეიძლება განიცადონ ფონდთან თანამშრომლობისას, ზიანად/ძალადობად მიიჩნევა;

- ქცევა, ფონდის თანამშრომლებისგან და პირისგან რომელიც თანამშრომლობს ფონდთან;
- ფონდის მიერ განხორციელებულ საქმიანობაში მონაწილე პირების, კლიენტების ქცევა;
- ფონდის მიერ ღონისძიებების მომზადება და განხორციელება;

პოლიტიკა განსაზღვრავს ფონდის მიერ აღებულ ვალდებულებებს და წარმოადგენს ინფორმაციის წყაროს ყველა თანამშრომლისათვის და პირებისათვის, რომლებიც თანამშრომლობენ ფონდთან (ქვეკონტრაქტორებისა და მოხალისეების ჩათვლით) მათი ვალდებულებების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია ბავშვების დაცვასთან, როგორც სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების ნაწილში ან სხვა რაიმე სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას.

### **4. ბავშვზე ძალადობა - განმარტება**

როგორც დ.ჯ. გილა(D.G. Gill'a) განმარტავს, ბავშვზე ძალადობა არის ნებისმიერი ქმედება ან უმოქმედობა ცალკეული პირების, ინსტიტუტების ან საზოგადოების მიერ, და ასეთი ქმედების ან უმოქმედობის ნებისმიერი შედეგი, რომელიც არღვევს ბავშვების თანაბარ უფლებებსა და თავისუფლებებს და/ან ხელს უშლის მათ ოპტიმალურ განვითარებას.

არსებობს ბავშვებზე ძალადობის 5 ტიპი:

ფიზიკური ძალადობა – ნებისმიერი განზრახვა ფიზიკური ძალის გამოყენების ბავშვის მიმართ, რომელიც იწვევს ან შეიძლება გამოიწვიოს ფიზიკური დაზიანება ან საფრთხე შეუქმნას ბავშვის ჯანმრთელობას, განვითარებას ან ღირსებას.

ემოციური ძალადობა-არის გრძელვადიანი, მავნე ურთიერთქმედება ბავშვთან, რომელიც არ ვლინდება უშუალო ფიზიკური კონტაქტით და შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მის განვითარებაზე. ეს შეიძლება იყოს ქმედება ან უმოქმედობა. ეს მოიცავს ქცევის ისეთ ფორმებს, როგორცაა ვერბალური აგრესია, ყვირილი, უარყოფა, ბავშვის იზოლირება, მუქარა, ბავშვთან განვითარებისათვის შეუსაბამო ურთიერთობა და ა.შ.

სექსუალური ძალადობა – ნებისმიერი ქცევა, რომელიც იწვევს ბავშვის სექსუალური ხასიათის რაიმე სახის აქტივობაში ჩართვას, რომელიც მიზნად ისახავს მოზარდის სექსუალური აღზნების დაკმაყოფილებას. სექსუალური ძალადობა მოიცავს, როგორც ქცევას ფიზიკური

კონტაქტით, ასევე მის გარეშე, როგორცაა ექსპიზიციონიზმი, პორნოგრაფია, უცენზურო სატელეფონო ზარები და სიტყვიერი შევიწროება.

უგულებელყოფა არის ბავშვის ძირითადი მოთხოვნილებების შეუსრულებლობა, როგორც ფიზიკური, როგორცაა: სწორი კვება, ტანსაცმელი, ჯანმრთელობა, განათლება, ასევე გონებრივი, როგორცაა: უსაფრთხოების გრძნობა, სიყვარულის და ზრუნვის განცდა.

კომერციული ექსპლუატაცია - არასრულწლოვანი ბავშვის გამოყენება სამსახურში ან სხვა საქმიანობაში სხვების სასარგებლოდ და ბავშვის ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის, განათლების, მორალური ან სოციალურ-ემოციური განვითარების საზიანოდ.

## 5. ფონდის საქმიანობის დაგეგმვა

ბავშვზე ძალადობის თავიდან აცილების გზები

ფონდი იღებს მთელ რიგ ქმედებებს, რათა უზრუნველყოს, რომ მისი თანამშრომლები და ფონდთან მომუშავე პირები არ წარმოადგენენ საფრთხეს ბავშვებისთვის და თავიდან აიცილონ ბავშვებში ზიანის მიყენება ფონდის საქმიანობის ყველა ეტაპზე.

ფონდი შეეცდება ყველაფერს, რომ ყველა მისი საქმიანობა იყოს დაგეგმილი და განხორციელებული ისე, რომ არ დაირღვეს ბავშვის უფლებები და მათი უსაფრთხოება, ამიტომ ფონდი ვალდებულია, რომ:

ა. საჭიროებების კვლევა და პროექტების დაგეგმვა ბავშვთა დაცვის პოლიტიკის დებულებების საფუძველზე, და მათი შესრულების აუცილებლობა იმ პირებისაგან, რომლებიც ჩართულნი არიან პროექტებში;

ბ. პროექტის დაგეგმვის ეტაპზე ბავშვზე ძალადობის საფრთხესთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირება და პროექტში მათი აღმოფხვრის სტრატეგიების ჩართვა;

გ. პროექტის მონიტორინგი ბავშვთა დაცვის პოლიტიკის დებულებებთან შესაბამისობაში და ნებისმიერ შეურაცხყოფასა თუ მუქარაზე რეაგირება;

დ. უზრუნველყოფილ იქნას უსაფრთხო სივრცე ყველა აქტივობისთვის, რომელშიც მონაწილეობენ ბავშვები ფონდის პროექტების ფარგლებში;

ე. უზრუნველყოს ბავშვებისთვის ზრდასრული გადამზადებული მზრუნველი მთელი პროექტის განმავლობაში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების აქტივობებისთვის უზრუნველყოს სათანადოდ გადამზადებული მზრუნველი, რომელიც დააკმაყოფილებს ბავშვის საჭიროებებს, და ამავდროულად, საჭიროების შემთხვევაში, ბავშვებისთვის დამხმარე ასისტენტის მონაწილეობა ფონდის მიერ განხორციელებულ პროექტში.

### 5.2 ფონდში თანამშრომლების აყვანა სამუშაოზე და თანამშრომლობა ფონდთან

#### 5.2.1 ფონდი ზრუნავს, რომ ადამიანებს, რომლებსაც ის ასაქმებს ან

თანამშრომლობს მათთან, ჰქონდეთ ბავშვებთან მუშაობისთვის შესაბამისი კვალიფიკაცია და ისინი წარმოადგენდნენ ბავშვებისთვის უსაფრთხო პირებს.. ზემო აღნიშნულის შესამოწმებლად ფონდს შეუძლია დაქირავების პროცესში

მონაწილე პირებს მოსთხოვოს მონაცემები განათლების, პროფესიული კვალიფიკაციისა და წინა სამუშაო ისტორიის შესახებ.

- 5.2.2 ყველა ადამიანი, რომელიც იღებს მონაწილეობას გასაუბრებაში (რეკრუტაციაში), თანამდებობაზე, რომელიც კავშირშია ბავშვებთან, რომელსაც ახორციელებს ფონდი ოცალენიე, ფონდი ოცალენიე მათთან თანამშრომლობის დაწყებამდე, კონკრეტულად რეკრუტაციის პროცესში, მისი დასრულების პროცესში, ე.ი. გასაუბრებაზე მონვევის დროს, მოხალისეების შემთხვევაში, რომელთაც არ აქვთ გასაუბრება-მანამ, სანამ სამუშაოს დაწყების უფლებას მისცემენ-ისინი მონმდებიან სექსუალური დანაშაულის ჩამდენი პირთა რეესტრში.
- 5.2.3 ფონდი ადასტურებს სექსუალურ სამართალდარღვევათა რეესტრში მოცემული პირის გადამონმების ფაქტს სექსუალურ სამართალდარღვევათა რეესტრიდან მოცემული პირის შესახებ ინფორმაციის ამობეჭდვით და პირად საქმეზე დოკუმენტის მიმაგრებით - თანამშრომლის დასაქმების შემთხვევაში, რომელიც დასაქმებულია შრომითი ხელშეკრულებით, ან მსგავსი ხელშეკრულების საფუძველზე.
- 5.2.4 მიუხედავად შემონმებისა, რომელიც აღნიშნულია წესდებაში პუნქტი 5.2.2-5.2.3. დაქირავების პროცესში მონაწილე პირთან ხელშეკრულების გაფორმებამდე, რომელიც კვალიფიცირდება დაიკავოს ფონდის თანამშრომლის ან ფონდთან თანამშრომლობის პირის თანამდებობა (მათ შორის, ნებაყოფლობითი მომსახურების განვეის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებამდე, მოხალისე პირი), ფონდი აგროვებს რეკრუტაციის პროცესში მონაწილე პირისგან მითითებულ დოკუმენტებს, რომელზეც საუბარია წესდებაში 5.2.5.-5.2.8 ქვემოთ. ასევე ყველა აყვანილი/დასაქმებული პირი (დასაქმებულმა და ფონდთან მოთანამშრომლე პირი, მათ შორის მოხალისეები) ვალდებულია წარადგინოს ცნობა ნასამართლობის არარსებობის ან მათ წინააღმდეგ განხორციელებული სისხლისსამართლებრივი და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ ცნობა, მანამ სანამ ხელშეკრულებას/შეთანხმებას მოაწერს ხელს ფონდთან თანამშრომლობის შესახებ.
- 5.2.5 თანამშრომლის აყვანის/რეკრუტაციის პროცესში მონაწილე პირისგან ფონდი აგროვებს ინფორმაციას სისხლის სამართლის ეროვნული რეესტრიდან სისხლის სამართლის ჩანაწერის არარსებობის შესახებ სისხლის სამართლის კოდექსის XIX და XXV თავებში, აქტ. 189ა. სისხლის სამართლის კოდექსის 207 და 2005 წლის 29 ივლისის აქტში ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ან ამ დანაშაულების შესაბამისი აკრძალული ქმედებებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია უცხოური კანონმდებლობის დებულებებში.
- 5.2.6. ფონდი აგროვებს ინფორმაცია/ცნობას, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ, იმ ქვეყნებიდან სადაც ბოლო 20 წლის განმავლობაში მცხოვრობდა პირი რომელიც იღებს მონაწილეობას ფონდის რეკრუტაციაში, ამ ინფორმაციასთან ერთად საჭიროა ასევე ამ ქვეყნების კრიმინალური ჩანაწერები შესახებ ინფორმაცია, განსაკუთრებით თუ რეკრუტაციაში მონაწილე პირს ამ ქვეყნებში ქონდა სამსახურეობრივი ან მოხალისეობრივი შეხება ბავშვებთან.
- 5.2.7 თუ თანამშრომლის აყვანის/რეკრუტაციის პროცესში მონაწილე პირს აქვს პოლონეთის გარდა სხვა მოქალაქეობა, ფონდი ამ პირისგან ასევე აგროვებს ინფორმაციას იმ ქვეყნის სისხლის სამართლის რეესტრიდან, რომელი ქვეყნის მოქალაქეობაც აქვს პირს, რომელიც მიღებულ იქნა ბავშვებთან კონტაქტთან დაკავშირებული პროფესიული ან მოხალისეობრივი საქმიანობისთვის, ან

ინფორმაციას სისხლის სამართლის რეესტრი, თუ ამ ქვეყნის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ინფორმაციის გაცემას ბავშვებთან კონტაქტთან დაკავშირებული პროფესიული ან მოხალისეობრივი საქმიანობის შესახებ, მიუხედავად ზემოთ მითითებული მუხლისა 5.2.5.-5.2.6.

**5.2.8** თუ იმ ქვეყნის კანონმდებლობა, საიდანაც უნდა წარედგინოს ქვეთავში აღნიშნული ინფორმაცია ნასამართლობის შესახებ 5.2.6.-5.2.7. არ ითვალისწინებს ასეთი ინფორმაციის გაცემას ან არ ინახავს კრიმინალურ ჩანაწერს, მაშინ თანამშრომლობის პროცესში/რეკრუტაციის პროცესში მონაწილე პირმა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ბრალდებით უნდა წარადგინოს განცხადება ამ თემაზე განცხადებასთან ერთად, რომ ის არ იყო ნასამართლელი ამ ქვეყანაში აკრძალული ქმედებებისთვის, რომლებიც შეესაბამება XIX და XXV თავებში სსსკ-ში, მუხ. 189ა. სისხლის სამართლის კოდექსის 207 და 2005 წლის 29 ივლისის კანონი ნარკომანიასთან ბრძოლის შესახებ და რომ მის მიმართ არ არის გამოტანილი სხვა გადაწყვეტილება, რომლითაც მან ჩაიდინა ასეთი აკრძალული ქმედებები და რომ არ არსებობს რაიმე ვალდებულება, სასამართლოდან. არ არსებობს აქტი, რომელიც უკრძალავს კონკრეტული თანამდებობის დაკავებას, რომელიც დაკავშირებულია: აღზრდასთან, განათლებასთან, დასვენებასთან, მკურნალობასთან, ფსიქოლოგიური რჩევის მიცემასთან, სულიერ განვითარებასთან, არასრულწლოვანთა მიერ სპორტით ან სხვა ინტერესების გატარებასთან ან ზრუნვასთან დაკავშირებული რაიმე ან კონკრეტული პროფესიის ან საქმიანობის განხორციელებასთან.

**5.2.9** ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, ხაზგასმულია, რომ ზემოაღნიშნული საბუთების შეგროვება ფონდისთვის ხდება ხელშეკრულების გაფორმებამდე დაქირავების პროცესში მონაწილე პირთან, რომელიც კვალიფიცირდება დაიკავოს ფონდის თანამშრომლის ან ფონდთან თანამშრომლობის პირის თანამდებობა (მათ შორის, ხელშეკრულების გაფორმებამდე. მოხალისეებთან ნებაყოფლობითი მომსახურება ასევე მოეთხოვება ყველა დაქირავებულმა პირმა (დასაქმებულმა და ფონდთან თანამშრომლებმა, მათ შორის მოხალისეებმა) წარადგინონ მოწმობა წარსულში სისხლისსამართლებრივი და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ ცნობა ხელშეკრულების/შეთანხმების გაფორმებამდე.

**5.2.10** ფონდის თანამშრომელი ან ფონდთან მომუშავე პირი არ შეიძლება დაქორწინდეს ბავშვთან ან დართოს შვილებს დაქორწინების უფლებას ფონდის პროგრამაში ჩართულ ბავშვთან. ასევე დაუშვებელია ფონდის თანამშრომლების ან ფონდთან თანამშრომლობის მქონე პირების მიერ ბავშვების დასაქმება ან ჩართვა მათთვის შეუფერებელ სამუშაოზე ასაკის გამო ან იმ შემთხვევაში, როდესაც ამან შეიძლება ხელი შეუშალოს მათ განათლებას.

### **5.3 საგანმანათლებლო მოქმედებები და ტრენინგები**

**5.3.1.** ფონდის ყველა თანამშრომელი და პირი, რომელიც თანამშრომლობს ფონდთან, გადის სავალდებულო ტრენინგს ფონდის ბავშვთა დაცვის პოლიტიკის შესახებ, კერძოდ, ბავშვზე ძალადობის შესახებ ეჭვის შემთხვევაში განცხადების პროცედურის შესახებ. ფონდის პროგრამებში მონაწილე ბავშვებს შეუძლიათ ასევე გაიარონ ტრენინგი.

**5.3.2.** მითითებულ ტრენინგში ფონდის თანამშრომლებისა და ფონდთან მომუშავე პირებს მონაწილეობა, რომელსაც ამბობს წესი: 5.3.1. დადასტურდება იქნება თანამშრომლების, ან მოხალისეების მიერ, რომლებიც ხელს აწერენ ტრენინგზე დასწრების სიას. ტრენინგის დასრულების შემდეგ,

ტრენინგის ჩამტარებელი პირი დაუყოვნებლივ გადასცემს სიას პოლიტიკაზე პასუხისმგებელ პირს.

- 5.3.3. ფონდი, სულ მცირე, ნელინადში ერთხელ, უზრუნველყოფს თანამშრომლებსა და ფონდთან მომუშავე პირების განათლებას/წვდომას შიდა ტრენინგზე, რომელიც მიმართული იქნება ბავშვების ძალადობისგან დაცვისა და ბავშვების დასახმარებლად სავარაუდო ძალადობის სიტუაციებში, რომელსაც ჩაატარებს პოლიტიკაზე პასუხისმგებელი პირი.

#### **5.4. უსაფრთხო ურთიერთობის წესები ბავშვთან ურთიერთობის დროს (ფუნდაციის კლიენტი)-ზრდასრული (დასაქმებული/ფონდთან მომუშავე პირი)**

- 5.4.1. ნებისმიერი კონტაქტი ფონდის თანამშრომლებსა და ფონდთან მომუშავე პირების ბავშვთან, ფონდის კლიენტი, ვალდებულია სრულ პატივი სცეს ბავშვის ღირსებას, განსაკუთრებით კი დაიცვას ბავშვის უფლებები დარღვევისაგან.
- 5.4.2. ფონდის თანამშრომლების, ფონდთან მომუშავე პირების ან მოხალისეების ნებისმიერი კონტაქტი ბავშვთან ან ბავშვის კანონიერ მეურვესთან ხდება მხოლოდ სამსახურეობრივი მობილური ტელეფონების გამოყენებით. ფონდთან და მხოლოდ ფონდის პროგრამასთან დაკავშირებით, რომელშიც მონაწილეობს ბავშვი. წესდება 5.4.5. იხ. ქვევით.
- 5.4.3. ფონდის თანამშრომლები და პირები, რომლებიც თანამშრომლობენ ფონდთან, ასრულებენ თავიანთ სამსახურეობრივ მოვალეობებს ან სამოქალაქო სამართლის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებებს. ისინი ვალდებული არიან იმოქმედონ მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, ფონდის შიდა დოკუმენტების, კერძოდ, პოლიტიკის დებულებების და მათი კომპეტენციის ფარგლებში.
- 5.4.4. ფონდის თანამშრომელი ან პირი, რომელიც თანამშრომლობს ფონდთან, არასოდეს უნდა დარჩეს მარტო ბავშვთან ერთად ზრდასრული მესამე პირის გარეშე, რაც განსაკუთრებით ეხება ბავშვთან ერთად ყოფნას ერთ ოთახში, მანქანაში ან სხვაგან იზოლირებულ ადგილას, ამ პუნქტის სხვა დებულებების გათვალისწინებით. ფონდის გარეთ შეხვედრების შემთხვევაში, რომლებიც ტარდება ფონდის მიერ განხორციელებული პროგრამის ფარგლებში, ისინი უნდა ჩატარდეს საჯარო ადგილას, ბავშვის კანონიერი მეურვის თანხმობით, ან ბავშვის სახლში, სადაც კანონიერი მეურვე ან სხვა ზრდასრული პირი უნდა ესწრებოდეს შეხვედრას. ფონდში პირისპირ შეხვედრების შემთხვევაში, ოთახის კარი, სადაც შეხვედრა ტარდება, ყოველთვის ღია ან ნახევრად ღია უნდა დარჩეს. ეს წესი არ ვრცელდება ფსიქოლოგთან ან ფსიქოთერაპევტთან შეხვედრებზე. განსაკუთრებულ შემთხვევებში, გადახვევა წესიდან დაიშვება ზემდგომის თანხმობით საფუძველზე, ბავშვთა დაცვის პოლიტიკაზე პასუხისმგებელ პირთან კონსულტაციის შემდეგ და ბავშვის კანონიერი მეურვის წინასწარი თანხმობით. ბავშვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის გადასარჩენად, აუცილებლობის შემთხვევაში, როდესაც სასწრაფო დახმარების გამოძახება შეუძლებელია, ან როდესაც სასწრაფო მანქანის დალოდება ძალიან დიდი დროს მოითხოვს, ამ შემთხვევაში როდესაც ბავშვის ჯანმრთელობას ექმნება საფრთხე, დასაშვებია ბავშვის გადაყვანა უახლოეს საავადმყოფოში დასაქმებულის ან მოხალისის მიერ, რომელიც მუშაობს ფონდში, მას შემდეგ რაც პირი აცნობებს მშობელს ან კანონიერ მეურვეს არსებულ მდგომარეობას და საავადმყოფოს მისამართას, სადაც ბავშვი იქნება

გადაყვანილი. შესაბამისად, განსაკუთრებით გამართლებულ შემთხვევებში, ბავშვს უფლება აქვს დარჩეს თანამშრომელთან ან მოხალისესთან მანქანაში სხვა ზრდასრული პირის თანდასწრების გარეშე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სხვა ზრდასრული პირები (მათ შორის, სხვა დასაქმებული ან ფონდის მოხალისე) ვალდებულნი არიან უზრუნველყონ სხვა ბავშვების მოვლა და ყურადღება.

- 5.4.5.** ფონდის თანამშრომელს ან მოხალისე პირს არ შეუძლია უმასპინძლოს ბავშვს საკუთარ სახლში ან სხვა იზოლირებულ ადგილას ფონდის არცერთი პროგრამის ფარგლებში ან შეასრულოს ფონდის პროგრამებთან დაკავშირებული რაიმე მოვალეობა ან საქმიანობა. ასევე მან არ უნდა უთხრას საკუთარი სახლის მისამართი ბავშვს. დაუშვებელია ასევე დასაქმებული ან მოხალისის მიერ პირდაპირ სატელეფონო კავშირი ბავშვებთან, კონტაქტი ნებადართულია ზემდგომის თანხმობის შემთხვევაში ან ბავშვის კანონიერი მეურვის თანხმობით, მხოლოდ ფონდის პროგრამასთან დაკავშირებულ საქითხებთან დაკავშირებით, რომელშიც ბავშვი იღებს მონაწილეობას.
- 5.4.6.** ფონდის მიერ ორგანიზებული მგზავრობის და ექვსკურსიის დროს ან პროგრამების ფარგლებში ან ნებისმიერი მოგზაურობისას და ექსკურსიის დროს, რომელშიც მონაწილეობას იღებენ თანამშრომლები, ფონდთან მომუშავე პირები და ფონდის კლიენტები, რომლებიც არიან ბავშვები, ფონდის არც ერთ თანამშრომელს ან ფონდთან მომუშავე პირს არ შეუძლია დაიძინოს ოთახში ბავშვებთან ერთად. გამონაკლისია განსაკუთრებული დასაბუთებული შემთხვევები, როდესაც არის თანხმობა ზემდგომი პირისგან და ბავშვის კანონიერი მეურვისგან, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თანამშრომლისთვის ან ფონდთან მომუშავე პირისთვის ცალკე სანოლი იქნება გათვალისწინებული. ასევე მუდმივად უნდა იყოს შესაძლებლობა ზრდასრული პირის შესვლის და ყოფნის ოთახში, რომელიც არის თანამშრომლის უფროსი ან პირი, რომელიც თანამშრომლობს ფონდთან და რომელსაც აქვს წვდომა ოთახში შესვლის.
- 5.4.7.** პირი, რომელიც გეგმავს მოგზაურობას ან სხვა აქტივობებს, რომლებიც ორგანიზებულია ფონდის საქმიანობის ფარგლებში და ხელმისაწვდომია კლიენტებისთვის, რომლებშიც ბავშვებიც არიან ჩართულები, ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს ბავშვის კულტურა და წეს-ჩვეულებები, განსაკუთრებით მისი კვებითი შეზღუდვები, უზრუნველყოს მისი თავისუფალი მონაწილეობა ყველა აქტივობაში. სავალდებულოა მისი კულტურული გამორჩეულობის პატივისცემა, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების განსაკუთრებულ საჭიროებებზე ზრუნვა.
- 5.4.8.** 5.4.4.-5.4.6 დებულებების მიუხედავად იხ. ზემოთ, ნებისმიერი ქცევა, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ბავშვს ზემოთ მე-4 პუნქტის მიხედვით მიუღებელია, კერძოდ:
- 5.4.8.1** ბავშვებთან სექსუალური ან რომანტიული ურთიერთობების დამყარება ან მათ მიმართ პროვოკაციული, შეუფერებელი ან ისეთი ქცევა, რომელიც სცილდება ფონდის პროგრამებსა თუ აქტივობებში ბავშვის მონაწილეობასთან დაკავშირებულ ურთიერთობას;
  - 5.4.8.2** ბავშვების მიმართ ფიზიკური დასჯის გამოყენება;
  - 5.4.8.3.** ბავშვებისთვის ალკოჰოლის, ენერჯეტიკული სასმელების, სიგარეტის ან ნებისმიერი ფსიქო-აქტიური ნივთიერების მიცემა/ყიდვა, ასევე ზემოაღნიშნული ნივთიერებების მოხმარება ბავშვების თანდასწრებით ან ამ ნივთიერებების ზემოქმედებების ქვეშ ყოფნა ბავშვების თანდასწრებით;
  - 5.4.8.4.** ბავშვთან შეუსაბამო ფიზიკური კონტაქტი, მისი თავისუფლების ან



ღირსების შელახვა, თამაშები, რომელიც ბუნებრივად წარმოქმნილი კონტაქტის მიღმა ან საჭიროებები, რომელიც ბავშვის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს;

5.4.8.5. ნებისმიერი ქცევა, რომელიც ამცირებს ან არცხვენს ბავშვებს;

5.4.8.6. ბავშვთან პირადი კონტაქტებისა და ურთიერთობების შენარჩუნება

ფონდის საქმიანობის მიღმა, მათ შორის მასთან კონტაქტის ქონა, განსაკუთრებით სოციალური მედიის ან ონლაინ პლათფორმების მეშვეობით.

## **5.5. ბავშვებს შორის უსაფრთხო ურთიერთობის წესები**

5.5.1. ფონდის პროგრამებსა და ფონდის სხვა აქტივობებში მონაწილე ბავშვები ვალდებული არიან მოექცნენ სხვადასხვა აქტივობებში მონაწილე სხვა

ბავშვებს პატივისცემით და ღირსებით.

5.5.2. თანატოლებთან ურთიერთობაში (ბავშვი-ბავშვი) აკრძალულია

ნებისმიერი ქცევა, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ბავშვს, კერძოდ: სხვა ბავშვის გამოსახულების ჩანერა (ფოტო-ვიდეო გადაღება) მისი თანხმობის გარეშე: ინტიმურ, მავნე, უხერხულ, არასრულად ჩაცმულ სიტუაციებში, რომელიც რაიმე სახით წარმოადგენს ბავშვს დამცინავი სახით, ასევე აკრძალულია მსგავსი გამოსახულების გავრცელება. მსგავსი დარღვევით ჩანერილი ან გავრცელებული მასალები დაუყოვნებლივ უნდა წაიშალოს, არაუგვიანეს ფონდის პირველივე მოთხოვნისთანავე.

5.5.3. პუნქტი 5.4.8. ვრცელდება შესაბამისად, გარდა პარაგრაფი 5.4.8.6-სა.

## **5.6. უსაფრთხო წვდომის წესები ინტერნეტთან ფონდის საქმიანობის დროს**

5.6.1 ყველა კომპიუტერი და ლეპტოპი, რომლებზეც ბავშვებს აქვთ წვდომა

ფონდის პროექტების ფარგლებში, როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური მუშაობის დროს, ასევე ფონდის ოფისების საჯარო ქსელები, რათა თავიდან ავიცილონ ბავშვების მავნე შინაარსის მქონე ინფორმაციასთან წვდომა დაბლოკილია გარკვეული ტიპის საიტები, კონკრეტულად კონტენტს რომელიც შეიცავს ძალადობას.

5.6.2. ბავშვების მიერ ფონდის კუთვნილი აღჭურვილობის გამოყენებას

ზედამხედველობას უნევს ფონდის თანამშრომელი ან ფონდთან მომუშავე პირი (მოხალისე).

5.6.3. ფონდი პერიოდულად ანახლებს პროგრამულ უზრუნველყოფას,

რომელიც იცავს ბავშვებს ისეთ კონტენტზე წვდომისგან, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას მათ სწორ განვითარებას.

5.6.4.იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი გაეცნო მავნე კონტენტს ფონდის მიერ

მონოღებული კომპიუტერის ან ლეპტოპის გამოყენებისას ან ფონდის საჯარო ქსელის გამოყენებისას, ფონდის თანამშრომელი ან პირი, რომელიც თანამშრომლობს ფონდთან დაუყოვნებლივ აწვდის ინფორმაციას ინციდენტის შესახებ პოლიტიკაზე პასუხისმგებელ პირს, რომელიც შემდეგ აცნობებს ბავშვის კანონიერ მეურვეს მომხდარის შესახებ.

## **6. ბავშვთა ძალადობი ეჭვის შემთხვევაში, შეტყობინების პროცედურა**

6.1. ბავშვზე ძალადობის ფაქტის შესახებ ეჭვის შემთხვევაში, ფონდის თითოეული

თანამშრომელი ან ფონდთან მომუშავე პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ზემდგომს, მმართველ საბჭოს ან ბავშვთა დაცვის პოლიტიკაზე პასუხისმგებელ პირს შექმნილი ვითარების შესახებ. პოლიტიკისთვის პასუხისმგებელი პირისთვის

მოსხენების შემთხვევაში, ანგარიში შეიძლება წარედგინოს პირადად ან ელექტრონულად, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მისამართზე: [ochronadziecka@ocalenie.org.pl](mailto:ochronadziecka@ocalenie.org.pl) ზემდგომთან ან მართველ საბჭოს წევრთან მოსხენების შემთხვევაში, ანგარიში შეიძლება გაიგზავნოს პირადად ან ელექტრონულად, ელექტრონული ფოსტის გაგზავნის შემთხვევაში უნდა მიეთითოს იმ პირის სახელი ვისაც ეხება განცხადება. ზეპირი მოსხენების შემთხვევაში, პირი, რომელსაც წარედგინება ანგარიში, ვალდებულია მოამზადოს ოფიციალური ჩანაწერი მიღებულ მოსხენებასთან დაკავშირებით და დაუყოვნებლივ გადააგზავნოს იგი მითითებულ მისამართზე: [ochronadziecka@ocalenie.org.pl](mailto:ochronadziecka@ocalenie.org.pl)

- 6.2. მითითებული ელექტრონული ფოსტა ზემოთ მოცემულ წესდებაში 6.1. მონმდება ადამიანის მიერ რეგულარულად პირის მიერ, რომელიც პასუხისმგებელია ბავშვთა დაცვის პოლიტიკაზე. ყოველი მოსხენება, როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი, განიხილება გულდასმით და მონმდება საფუძვლიანად.
- 6.3 მოსხენებული სიტუაციიდან გამომდინარე, ბავშვთა დაცვის პოლიტიკაზე პასუხისმგებელი პირი, მმართველ საბჭოსთან და მოცემულ პროგრამაზე პასუხისმგებელი პირებთან კონსულტაციით შემდეგ, რომელშიც ბავშვი მონაწილეობს, იწყებს მოქმედებას ქვემოთ მე-7 პუნქტში მოცემული პროცედურის თანახმად.
- 6.4 მომსხენებელი პირები და პირები, რომლებსაც ეცნობათ ბავშვზე ძალადობის შესახებ, ისევე როგორც მოვლენის მონმეები, ვალდებული არიან საიდუმლოდ შეინახონ ინციდენტთან და ფონდის კლიენტთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია, განსაკუთრებით, ინფორმაცია რომელიც მნიშვნელოვანია ინტერვენციის პროცედურებისთვის, რაზეც არის საუბარი მე-7 პუნქტში.
- 6.5. მმართველი საბჭო ინახავს პოლიტიკისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ მონოღებულ ინფორმაციას პუნქტ 6.1.-ში მოცემული წესის შესაბამისად, ციფრულ საქალაქდეში, რომელიც შეიქმნა ზემოაღნიშნულის შესანახად. ონლაინ ინსტრუმენტებისა და Google Drive სერვისების გამოყენებით და ასევე ელექტრონულ სარეგისტრაციო რეესტრში.

## 7. ინტერვენციის პროცედურა (გარე და შიდა)

- 7.1. ბავშვზე საექვო ძალადობის თითოეულ ანგარიშს ფონდის თანამშრომლები ან პირები, რომლებიც თანამშრომლობენ ფონდთან, განიხილავენ სრული სერიოზულობით და ამონმებენ საფუძვლიანად რისკის შესაფასებლად. მოსხენებული შემთხვევიდან გამომდინარე, ფონდი ახორციელებს შიდა ან გარე ჩარევას.
- 7.2. ყოველი ჩარევა/ინტერვენცია იწყება ბავშვის კანონიერი მეურვის ინფორმირებით საექვო ძალადობის შესახებ, იმდენად, რამდენადაც ეს საფრთხეს არ უქმნის ბავშვის კეთილდღეობას.
- 7.3. ფონდის თანამშრომლები და პირები, რომლებიც თანამშრომლობენ ფონდთან, რომლებიც მონაწილეობენ ინტერვენციებში (მიუხედავად იმისა, თუ რა ეტაპზე ჩნდებიან ისინი ინტერვენციის პროცესში, კერძოდ: პირი, რომლის წინააღმდეგაც შედგა მოსხენება; პირი, რომელსაც ეხება ანგარიში, პირი, რომელიც შეესწრო მოსხენებასი აღწერილ მოვლენას) ვალდებულია შეინახოს მოსხენებულ მოვლენასთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაცია და ინფორმაცია ბავშვის შესახებ, რომელიც არის ფონდის კლიენტი, ამ მე-7 პუნქტში მითითებული ინტერვენციის პროცედურების ფარგლებში აუცილებელი ქმედებების გათვალისწინებით; პირები წარადგენენ კონფიდენციალურობის დეკლარაციას, პოლიტიკის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, საქმიანობის დაწყებამდე ან საქმიანობაში მონაწილეობამდე.

## 7.4. შიდა ინტერვენცია

7.4.1. შიდა ინტერვენციის დასწყების პროცესს იწყებს ფონდი იმ შემთხვევაში

თუ:

- 7.4.1.1. ბავშვი გაამჟღავნებს ბავშვზე ძალადობის ფაქტს ფონდის თანამშრომლგან ან ფონდთან მომუშავე პირისგან, ან ბავშვის კანონიერი მეურვე შეატყობინებს ბავშვის ძალადობის ფაქტის შესახებ ინფორმაციას შემდეგ მისამართზე: [ochronadziecka@ocalenie.org.pl](mailto:ochronadziecka@ocalenie.org.pl);
- 7.4.1.2. დაფიქსირდა ბავშვზე ძალადობის შესახებ ეჭვი ფონდის თანამშრომლის ან ფონდთან მომუშავე პირის ან მოხალისის მიერ;

7.4.2. ბავშვზე საეჭვო ძალადობის შესახებ მოხსენების მიღებისთანავე, ბავშვის დაცვის პოლიტიკაზე პასუხისმგებელი პირი, პროგრამის მენეჯერთან, რომელშიც ბავშვი მონაწილეობს, და მმართველ საბჭოსთან ერთად, და თუ სიტუაცია ამას მოითხოვს, ფსიქოლოგთან ერთად, იღებს ზომებს სიტუაციის შესაფასებლად.

7.4.3. სიტუაციის შეფასებიდან გამომდინარე, გასაუბრება ტარდება ბავშვთან, უსაფრთხო სივრცეში ბავშვისთვის, ან ბავშვთან და მის კანონიერ მეურვესთან ერთად, რათა განისაზღვროს შემდგომი ქმედება და გეგმა, რათა დაეხმაროს და უზრუნველყოს ბავშვის შესაბამისი მხარდაჭერა, ბავშვის საჭიროებებიდან გამომდინარე. შემდეგ ხდება საუბარი ფონდის თანამშრომელთან ან ფონდთან მომუშავე პირთან და, თუ შესაძლებელია, მოვლენის მოწმეებთან, მოვლენების შესაფასებლად. ინტერვენციების ფარგლებში მოზრდილებთან ინტერვიუს ჩატარების სახელმძღვანელო მოცემულია პოლიტიკის მე-2 დანართში.

7.4.4. იმ სიტუაციაში, როდესაც მოხსენება ეხება ნეგატიურ ქცევას, რომელიც არ არის დანაშაული ბავშვის საზიანოდ - დისკრიმინაცია, გარიყვა, დაცინვა და ა.შ. თანამშრომელთან ან ფონდთან მომუშავე პირთან საუბრის შემდეგ, რომელზეც საუბარია ზემოთ პუნქტ 7.4.3-ში, პოლიტიკაზე პასუხისმგებელი პირი წერს ანგარიშს, რომელიც შეიცავს დასკვნებს, რომლებიც მიმართულია შემდგომი ზიანის შესაჩერებლად და დაუყოვნებლივ წარუდგენს ანგარიშს მმართველ საბჭოს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას შემდგომი ქმედებების შესახებ. მოხსენებას თან ერთვის პოლიტიკის დანართი 3. ფონდს შეუძლია მიიღოს პრევენციული ზომები, მათ შორის შეუზღუდოს კონტაქტი პირს, რომელიც მიიჩნევა ეჭვმიტანილად, ბავშვებთან, ასევე სიტუაციის შესაბამისი დისციპლინური ზომების მიღება, მათ შორის დასაქმებულთან ხელშეკრულების შეწყვეტა, ხოლო ფონდთან მომუშავე პირის შემთხვევაში - დაუყოვნებლივ, ფონდსა და ფონდთან თანამშრომლობის პირს შორის ხელშეკრულების შეწყვეტა.

## 7.5. გარე ინტერვენცია

7.5.1. იმ შემთხვევაში, თუ შიდა ჩარევა აღმოჩნდება არასაკმარისი, ან მოხსენებული შემთხვევა გულისხმობს გარე ორგანოების ინფორმირების სამართლებრივ ვალდებულებას, **განხორციელდება გარე ჩარევა/ინტერვენცია**, რაც გულისხმობს შესაბამისი დანესებულებების ინფორმირებასთან დაკავშირებულ სამართლებრივი ნაბიჯების გადადგმას.

7.5.2. გარე ინტერვენციის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მმართველი საბჭო, მიღებული ანგარიშის საფუძველზე, იხ. ზემოთ პუნქტი 7.4.4.

7.5.3. გარე ჩარევა/ინტერვენცია სავალდებულოა ძალადობის დადასტურებული

ექვის შემთხვევაში ან ბავშვის საზიანოდ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. გარე ჩარევა/ინტერვენცია ხორციელდება შიდა ჩარევისგან/ინტერვენციისაგან დამოუკიდებლად.

- 7.5.4. იმ შემთხვევაში, თუ არის ეჭვი ბავშვა ძალადობის შესახებ, ფონდის მმართველი საბჭო დაუყოვნებლივ აცნობებს პოლიციას ან პროკურატურას. ეს ვალდებულება არის იურიდიული ხასიათისა და გამომდინარეობს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 304 მუხლით.
- 7.5.5. დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ინფორმაცია ბავშვის მეურვეებს. მეურვეებთან ერთად შეიქმნება ბავშვის დახმარებისა და მხარდაჭერის გეგმა, ბავშვის საჭიროებების შესაბამისად.

## **7.6. ინტერვენცია თანატოლებს შორის საეჭვო ძალადობის შემთხვევაში**

- 7.6.1. იმ შემთხვევაში, თუ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს თანატოლებს შორის ძალადობის ფაქტს (ბავშვს ზიანი მიაყენა სხვა ბავშვმა, რომელიც მონაწილეობას იღებს ფონდის პროგრამებში ან აქტივობებში), ფსიქოლოგი, რომელიც თანამშრომლობს ფონდთან, ჩაატარებს გასაუბრებას ძალადობაში ეჭვიმტანილ ბავშვთან და მის კანონიერ მეურვესთან, ასევე ცალკე იმ ბავშვთან, რომელიც სავარაუდო ძალადობის მსხვერპლად მიიჩნევა და მის კანონიერ მეურვესთან, რათა დადგინდეს მოვლენის მდგომარეობა. ზემოაღნიშნულის განმახორციელებელი პირი მოამზადებს ინტერვენციის ანგარიშს, რომელიც შეიცავს გასაუბრების შედეგების შეჯამებას, პოლიტიკის მე-3 მუხლის შესაბამისად და დაუყოვნებლივ წარუდგენს მას მმართველ საბჭოს.
- 7.6.2. მმართველი საბჭო განიხილავს ინტერვენციის ანგარიშს და, აღნიშნული მოვლენის ხასიათის გათვალისწინებით, იღებს გადაწყვეტილებას შემდგომი ქმედებების განხორციელებაზე, რომელიც შეიძლება მოიცავდეს შემდეგ საფეხურებს:
  - 7.6.2.1. გამოსასწორებელი გეგმის შედგენა, რომელსაც მიზანია არასასურველი გვევის გამოსწორება;
  - 7.6.2.2. მისცეს საშუალება ბავშვს მიიღოს ფსიქოლოგიური დახმარება;
  - 7.6.2.3. ბავშვის მუდმივი ან დროებითი გამოთიშვა ფონდის პროგრამიდან და საქმიანობისგან, რომელიც ზიანს აყენებს სხვა ბავშვებს ფონდში.
- 7.6.3. თუ ძალადობაში ეჭვიმტანილი პირი არის 13-დან 17 წლამდე ასაკის ბავშვი და მისი საქციელი შეიძლება იყოს დასჯადი ქმედება, მმართველი საბჭო წერილობითი შეტყობინების გზით აცნობებს ადგილობრივ საოჯახო სასამართლოს ან პოლიციას.
- 7.6.4. იმ შემთხვევაში, თუ ძალადობაში ეჭვიმტანილი პირი არის 17 წელზე უფროსი ასაკის ბავშვი და მისი ქცევა შეიძლება იყოს დანაშაული, მმართველმა საბჭომ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს პოლიციას ან პროკურატურას

## **8. პოლიტიკის მონიტორინგი და პერიოდული შემოწმება**

- 8.1. ბავშვთა დაცვის პოლიტიკაზე პასუხისმგებელი პირი, მმართველ საბჭოსთან თანამშრომლობით, განიხილავს ფონდში მოქმედ ბავშვთა დაცვის პოლიტიკას ორ წელიწადში ერთხელ ან საჭიროების შემთხვევაში უფრო ხშირად. პოლიტიკის პერიოდული შემოწმების შემდეგ, პოლიტიკაზე პასუხისმგებელი პირის დასკვნების სახით, წერილობითი სახით წარუდგენს მის დასკვნას გაახლების შესახებ მმართველ

საბჭოს არანაკლებ ორ წელიწადში ერთხელ, რის შემდეგაც მმართველ საბჭოს შეუძლია განახლოს პოლიტიკა. მისი მაქსიმალური ეფექტურობის უზრუნველსაყოფად.

8.2. პოლიტიკაზე პასუხისმგებელი პირი აცნობებს ყველა თანამშრომელს და ფონდთან მომუშავე პირებს პოლიტიკაში ნებისმიერი ცვლილების შესახებ განახლებული პოლიტიკის გაგზავნით ყველა თანამშრომლისა და ფონდთან მომუშავე პირს სამსახურეობრივ ელექტრონული ფოსტის მისამართებზე, და თუ არ არის მითითებული სამსახურეობრივი ელექტრონული ფოსტის მისამართი, მაშინ იმ ელექტრონულ მისამართზე, რომელიც მითითებულია პირის მიერ ფონდთან დადებულ კონტრაქტში. ასევე განახლებული პოლიტიკის დოკუმენტი გაგზავნებათ კლიენტებს, რომლებიც არიან ბავშვები და მათი კანონიერი მეურვეები, მათ ელექტრონულ ფოსტაზე. თუ კლიენტებს, რომლებიც არიან ბავშვები ან მათი კანონიერი მეურვეები, არ აქვთ ელექტრონული ფოსტა, პოლიტიკაზე პასუხისმგებელი პირი აწვდის შეხვედრას კლიენტთან და კანონიერ მეურვეებთან, რომლის დროსაც პოლიტიკაზე პასუხისმგებელი პირი წარუდგენს განახლებულ პოლიტიკის დოკუმენტს, რომლის მიღებაც კლიენტის მიერ დასტურდება კლიენტისა და კანონიერი მეურვის ხელმოწერებით. განახლებული პოლიტიკა ასევე განთავსდება ფონდის ვებ-გვერდზე და ოფისებში.

8.3. თანამშრომლებს, პირებს, რომლებიც თანამშრომლობენ ფონდთან და კლიენტებს, რომლებიც არიან ბავშვები და მათი კანონიერი მეურვეები, უფლება აქვთ წარადგინონ კომენტარები, შენიშვნები პოლიტიკაზე, რათა უზრუნველყონ მისი ეფექტური ფუნქციონირება. პოლიტიკისთვის პასუხისმგებელი პირის მისამართზე ელექტრონული ფოსტის საშუალებით შემდეგ მისამართზე: [ochronadziecka@ocalenie.org.pl](mailto:ochronadziecka@ocalenie.org.pl).

8.4. პოლიტიკაზე პასუხისმგებელი პირი, მმართველ საბჭოს წარუდგენს ანგარიშს მიღებული შენიშვნების შესახებ, როგორც მოცემულია ზემოთ აღნიშნულ მუხლ. 8.3-ში. მინიმუმ ერთხელ ორ წლის განმავლობაში.

## 9. ბავშვთა პერსონალური მონაცემებისა და გამოსახულების (ფოტო,ვიდეო) დაცვის წესები.

9.1. ბავშვის პერსონალური მონაცემები დაცულია პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ 2019 წლის 10 მაისის აქტით და ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის 2016 წლის 27 აპრილის რეგულაციაში (EU) 2016/679 ნწ. რომელიც ეხება პერსონალური მონაცემების მონაცემთა დამუშავებას და ასეთი მონაცემების თავისუფალ გადაადგილებას და 95/46/EC დირექტივას გაუქმებას ("მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია", "GDPR"). პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნებისა და მეთოდების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ცალ-ცალკე ფონდ ოცალენიეს საქმიანობის კონტექსტში. ფონდის თითოეული თანამშრომელი და პირი, რომელიც თანამშრომლობს ფონდთან, ვალდებულია შეინარჩუნოს პერსონალური მონაცემებისა და პერსონალური მონაცემების არასანქცირებული წვდომისგან დაცვის მეთოდების კონფიდენციალურობა, ფონდში მოქმედი პერსონალური მონაცემთა დამუშავების უსაფრთხოების პოლიტიკის შესაბამისად, აგრეთვე დაიცვას მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგლამენტით გათვალისწინებული პრინციპები, კერძოდ მონაცემთა მინიმუმაციის პრინციპები.

9.2. ფონდი, რომელიც აღიარებს ბავშვის კონფიდენციალურობის უფლებას და პირადი უფლებების დაცვას, უზრუნველყოფს ბავშვის გამოსახულების ფოტო-ვიდეო მასალის არ გამოქვეყნებას ბავშვის კანონიერი მეურვის წერილობითი თანხმობისა და თავად ბავშვის სიტყვიერი თანხმობის გარეშე. ბავშვის

გამოსახულების ჩანერამდე ბავშვს და კანონიერ მეურვეს უნდა ეცნობოს სად განთავსდება რეგისტრირებული სურათი და რა კონტექსტში იქნება გამოყენებული.

- 9.3. ფონდის თანამშრომლის ან ფონდთან მომუშავე პირის მიერ გადაღებული ყველა ფოტო, რომელიც მუშაობს ბავშვთან, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა მასალა, რომელიც აღბეჭდავს ბავშვის იმიჯს, შეიძლება გადაღებული იყოს მხოლოდ ფონდის ოფიციალური აღჭურვილობით და არ უნდა შეიცავდეს ბავშვების გამოსახულებას პროფოკაციულ პოზებში ან არასრული ჩაცმულობით, არ უნდა აჩვენებდეს ბავშვს, როგორც მსხვერპლს. ფონდის თანამშრომელმა ან პირმა, რომელიც თანამშრომლობს ფონდთან, უნდა უზრუნველყოს, რომ ბავშვის ნებისმიერი სურათი ან ჩანერილი ისტორია არ გახადოს ბავშვისთვის საზიანო. ყველა ფოტო, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა მასალა, რომელიც ჩანერილია ფონდის თანამშრომლების ან ფონდთან მომუშავე პირების მიერ, მათ შორის ბავშვების გამოსახულების ჩათვლით, უნდა იყოს დაკავშირებული ფონდის საქმიანობასთან და ეხებოდეს მხოლოდ ფონდის საქმიანობის შესახებ მოხსენებას. (კერძოდ, ბავშვების მონაწილეობით ტრენინგებზე და სხვა ღონისძიებების მსვლელობის შესახებ) ასევე, შეძლებისდაგვარად იყოს ასახეული ბავშვები ფოტოზე ჯგუფურად, ნაცვლად ცალკეული ადამიანების გამოსახულებისა.
- 9.4. ბავშვის გამოსახულების (კერძოდ, ფოტოს ან აუდიოვიზუალური მასალის გადაღებიდან) ერთი თვის განმავლობაში ფონდის თანამშრომელი ან ფონდთან მომუშავე პირი გადასცემს ჩანერილ მასალას (კერძოდ ფოტოებს, აუდიოვიზუალურ მასალებს) პოლიტიკაზე პასუხისმგებელ პირს. ზემოაღნიშნულის გადაცემა მასალები იგზავნება სამსახურეობრივ ელექტრონული ფოსტის მისამართით და ზემოაღნიშნული მასალების წარდგენისთანავე, ფონდის თანამშრომელი ან ფონდთან მომუშავე პირი, რომელმაც დააფიქსირა ბავშვის გამოსახულება, ვალდებულია სამუდამოდ წაშალოს ზემოაღნიშნული მასალები მის ხელთ არსებული ოფიციალური აღჭურვილობიდან (ტელეფონი, კომპიუტერი). ფონდს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს თანამშრომლის ან ფონდთან მომუშავე პირის მიერ ზემოაღნიშნული ინფორმაციის წაშლის დამადასტურებელი განცხადება.
- 9.5. პოლიტიკისთვის პასუხისმგებელი პირი იცავს მისთვის მიწოდებულ მასალებს იხ. დანართი 9.4.-ში აღნიშნული ონლაინ ინსტრუმენტებისა და Google Drive სერვისების გამოყენებით, ზემოთ აღნიშნული მასალები განთავსებულია სპეციალურ საქალაქში, სადაც წვდომა აქვთ მხოლოდ პოლიტიკაზე პასუხისმგებელ პირს, თანამშრომელს ან ფონდთან მომუშავე პირს, რომლებიც არიან ფონდის ინდივიდუალური პროგრამებისა და მმართველი საბჭოს წევრები. მასალები ინახება სპეციალურ საქალაქში მაქსიმალური ვადით, რაც საჭიროა საგრანტიო ხელშეკრულებაში იმ აქტივობის განსახორციელებლად, რომლის ფარგლებშიც ჩანერილია ბავშვის სურათი, ხოლო შეთანხმების არ არსებობის შემთხვევაში - მაქსიმუმ ყოველი წლის 31 დეკემბრამდე, იმ პირობით, რომ ბავშვის კანონიერი მეურვე (13 წლამდე ასაკის ბავშვის შემთხვევაში) ან ბავშვი კანონიერი მეურვის თანხმობით (13-18 წლამდე) შეუძლია გამოთქვას ცალკე წერილობითი თანხმობა ზემოთ აღნიშნული მასალების დამუშავებაზე უფრო ფართო მასშტაბით, ფონდის მიერ ზემოაღნიშნულით დადგენილი პრინციპების შესაბამისად. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ბავშვის კანონიერმა მეურვემ (13 წლამდე ასაკის ბავშვის შემთხვევაში) ან კანონიერი მეურვის თანხმობით (13-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვის შემთხვევაში) შეიძლება ცალ-ცალკე მისცეს წერილობითი თანხმობა ფონდის მიერ ორგანიზებული ფოტოსესიის დროს გადაღებული ბავშვის გამოსახულების დამუშავებაზე სარეკლამო მიზნებისთვის. სარეკლამო მიზნებისთვის ორგანიზებულ ფოტოსესიაში მონაწილეობა შეიძლება ექვემდებარებოდეს საფასურს.
- 9.6. ეჭვების თავიდან აცილების მიზნით, ხაზგასმულია, რომ აკრძალულია იმ

ბავშვების გამოსახულების ნებისმიერი ჩანერა კერძო აღჭურვილობით, რომლებიც არიან ფონდის კლიენტები.

- 9.7. ფონდის თანამშრომელს ან ფონდთან მომუშავე პირს არ აქვს უფლება მისცეს მედია საშუალებებს ბავშვის (ვიდეოს, ფოტოს) გადაღების უფლება ფონდის საკუთრებაში ან ნაქირავე სივრცეში ან ზემოაღნიშნულის მიღმა საქმიანობის ფარგლებში. ფონდის მიერ მართულ სივრცეებს ბავშვთა მონაწილეობით, მენეჯმენტის თანხმობისა და ბავშვის კანონიერი მეურვის წერილობითი თანხმობის გარეშე.
- 9.8. ფონდი უზრუნველყოფს თანამშრომლების, ფონდთან მომუშავე პირების და მოხალისეების ბავშვთა დაცვის პოლიტიკის შესახებ ტრენინგები ჩატარებას.

## **10. საბოლოო დასკვნა**

- 10.1. პოლიტიკა ხელმისაწვდომია ფონდის ვებ-გვერდზე და განთავსებულია ფონდის ოფისებში ბავშვებისთვის განკუთვნილი სრული და შემოკლებული ვერსიით.